დანართი 1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის (ტექსტში შემდგომ „ფაკულტეტი“) სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურას "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ „თსუ“) წესდების, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებისა და თსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.
2. ეს დებულება აწესრიგებს თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირების ნორმებსა და პროცედურებს.

თავი 1. დოქტორანტურა

მუხლი 2.

1. დოქტორანტურა წარმოადგენს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურს, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრების მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით; დოქტორანტურის მთავარი მიზანია პროფესიული მოღვაწეობის შესაბამისი სფეროების მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადება.
2. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.
3. დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.
4. დოქტორი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურისათვის გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება.

თავი 2. დოქტორანტურაში მიღების წესი

მუხლი 3. დოქტორანტურაში მიღების წინაპირობები

1. დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.
3. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება მხოლოდ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამების ფარგლებში.
4. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს რექტორის ბრძანებით გათვალისწინებულ საბუთებს და დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი წესით გადის გასაუბრებაზე დარგობრივ მიმღებ კომისიასთან.
5. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი დასავლეთ-ევროპული ენის (გერმანული, ინგლისური ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.
6. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან სადოქტორო პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.
7. ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებითა და სადოქტორო პროგრამებით შეიძლება დადგენილ იქნეს დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 4. დოქტორანტურაში ჩაბარების ვადები

დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრში.

მუხლი 5. დოქტორანტურაში მისაღებ კანდიდატთა შეფასების დარგობრივი კომისიები

1. სადისერტაციო საბჭო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ერთჯერადად ქმნის დოქტორანტურაში მისაღებ კანდიდატთა შეფასების დარგობრივ კომისიებს შესაბამისი პროგრამის პროფესორების შემადგენლობით.
2. შეფასების დარგობრივი კომისიის რიცხობრივი შემადგენლობა განისაზღვრება სამი/ხუთი წარმომადგენლით. კომისიის თავმჯდომარე და მდივანი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში არჩევითია.
3. შეფასების დარგობრივ კომისიას ამტკიცებს რექტორი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.
4. შეფასების დარგობრივი კომისია სადისერტაციო საბჭოს სამდივნოში წარადგენს დოქტორანტობის კანდიდატების გასაუბრების შედეგებს.

მუხლი 6. დოქტორანტურის ხანგრძლივობა

დოქტორანტურა, გრძელდება 6 სემესტრის განმავლობაში. დოქტორანტურაში სწავლის მაქსიმალური დასაშვები ხანგრძლივობა 5 წელია.

მუხლი 7. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

1. დოქტორანტობის კანდიდატი განცხადებით მიმართავს რექტორს (დანართი 1). განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
ა) განმცხადებლის ავტობიოგრაფია (CV);
ბ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
დ) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა;
ე) სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა;
ვ) უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ზ) ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
თ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ი) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
კ) ფოტოსურათი (3X4) ბეჭდური 2 ცალი და ელექტრონული ვერსია CD-ზე;
ლ) ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი არ ირიცხება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში.

2. დოქტორანტობის კანდიდატი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსთან შექმნილ შესაბამის შეფასების დარგობრივ კომისიასთან გაივლის გასაუბრებას პროგრამის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად.
3. სადისერტაციო საბჭოსთან შექმნილი დარგობრივი კომისიების შეფასებების საფუძველზე სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დეკანის წინაშე შუამდგომლობს დოქტორანტურაში ჩასარიცხ კანდიდატებს.
4. დეკანის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი, გამოსცემს დოქტორანტურაში კანდიდატის დოქტორანტად ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს.

მუხლი 8. უნივერსიტეტის მოვალეობა დოქტორანტის წინაშე

თსუ უზრუნველყოფს:

- დოქტორანტის კვლევისათვის საჭირო მატერიალურ პირობებს (კომპიუტერი, ინტერნეტ-კავშირი, ბიბლიოთეკა და ა.შ.) და სათანადო სამეცნიერო გარემოს (პროფესიონალ მკვლევარებთან ურთიერთობის შესაძლებლობას);
- დოქტორანტის მონაწილეობას თსუ-ს სასწავლო პროცესში.

მუხლი 9. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება

დოქტორანტის სტატუსი შეუწყდეს:
ა) პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;
ბ) უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას;
გ) ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დოქტორანტურის დაფინანსება

დოქტორანტურის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, ქველმოქმედებისა და თვითდაფინანსების ფორმით.

თავი 3. დოქტორანტურის პროგრამა და კომპონენტები

მუხლი 11. სადოქტორო პროგრამა

1. სადოქტორო პროგრამას განიხილავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით დასამტკიცებლად წარუდგენს თსუ-ს აკადემიურ საბჭოს.
2. სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება:
- ფაკულტეტის ერთი ან რამდენიმე პროფესორის მიერ;
- უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტთან ერთად;
- პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად;
- სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთად – უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 12. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

1. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
2. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელით/ხელმძღვანელებით, ადასტურებს მისი კომპეტენციის შესაბამისობას სადოქტორო თემასთან, საჭიროების შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის საკითხს განსახილველად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს სპეციალიზებულ სექციას.
3. სამეცნიერო ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან დაკავშირებით სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს ცნობას სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე იმის შესახებ, რომ დოქტორანტის ხელმძღვანელობის კანდიდატი აკმაყოფილებს სამეცნიერო ხელმძღვანელისადმი/ხელმძღვანელებისადმი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ:
- აქვს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები;

- თანახმაა გასწიოს სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

მუხლი 13. დოქტორანტის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

1. სამეცნიერო ხელმძღვანელი არის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
2. სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები შეიძლება იყოს უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ემერიტუს პროფესორი, აგრეთვე სხვა სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მოქმედი თანამშრომელი, რომელიც ფლობს დოქტორის ხარისხს და აქვს კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით.
3. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ თსუ-ში დაკავებული აკადემიური თანამდებობის დატოვება არ იწვევს ავტომატურ უარს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე. ასეთ შემთხვევაში, მისი თანხმობის საფუძველზე, იგი შეიძლება მოწვეული იქნას ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრად.
4. მოწვეული სპეციალისტების საბჭოში გაწევრიანებას ამტკიცებს ფაკულტეტის სადი-სერტაციო საბჭო.
5. დისერტაციის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერ-ტაციო საბჭო დოქტორანტის ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში.
6. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.
7. სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს მოქმედი მკვლევარი და უნდა ჰქონდეს კვლევის გამოცდილება დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში.
8. პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ერთდროულად შეიძლება იყოს არა უმეტეს 6 მოქმედი (აქტიური) დოქტორანტის ხელმძღვანელი.
9. სამეცნიერო ხელმძღვანელი მტკიცდება სადისერტაციო საბჭოს სამდივნოში CV-სა და გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხის წარდგენის საფუძველზე.
10. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხელმძღვანელის შეცვლისა და ახლად წარდგენილი სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ.
11. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის არსებულ ხელმძღვანელთან ხელშეკრულების შეწყვეტისა და ახალი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა რაოდენობის უბრალო უმრავლესობით. ახალი ხელშეკრულების ასლი წარედგინება სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს.
12. სამეცნიერო ხელმძღვანელი აკონტროლებს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას.
13. სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში, სწავლის ნებისმიერ ეტაპზე, დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს.

მუხლი 14. დოქტორანტურის კომპონენტები

1. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი, რომელშიც სასწავლო კომპონენტს ეთმობა 40-60 კრედიტი, დანარჩენი კი - კვლევით კომპონენტს. კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომსა და მინიმუმ 2 კოლოკვიუმს.
2. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

3. დოქტორანტურის *სასწავლო კომპონენტი მოიცავს* :

სწავლების მეთოდები (სავალდებულო)	5-15 კრედიტი
აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით; სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები წინა საფეხურზე არ გაუვლია)	5-15 კრედიტი
დოქტორანტის სემინარი (მინიმუმ ერთი სავალდებულო)	10-30 კრედიტი
პროფესორის ასისტენტობა (სავალდებულო)	5-30 კრედიტი
სხვა სასწავლო აქტივობა (მაგ., პრაქტიკა და სხვა)	5-10 კრედიტი
სხვა არჩევითი სალექციო კურსები/აქტივობები	5-30 კრედიტი

სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან თსუ-ს ყველა დოქტორანტისათვის სავალდებულოა: სწავლების მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა, დოქტორანტის სემინარი.

4. სასწავლო კომპონენტის შინაარსობრივი სტრუქტურა განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით. სასწავლო კომპონენტების შერჩევა ხდება პროგრამის ფარგლებში მოსამზადებელი დისერტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე.
5. სასწავლო კომპონენტის სემინარი გულისხმობს მოხსენებას შესაბამისი მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი.
6. დოქტორანტურის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

- დისერტაციის ანუ სამეცნიერო ნაშრომის შესრულებას;
- მინიმუმ ორ კოლოკვიუმს (20–20 კრედიტი თითოეულისათვის), რომლებიც წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის ნაწილს.

შენიშვნა: კოლოკვიუმების საფაკულტეტო სქემა მოიცავს: 1. საკვლევი პრობლემის დასმას, აგრეთვე მის ასახვას სამეცნიერო ლიტერატურაში; 2. კვლევით პროექტს, მომავალი სადისერტაციო შრომის ზოგადი სტრუქტურისა და მეთოდოლოგიის ჩათვლით; 3. კვლევის შედეგებსა და ანალიზს.

მუხლი 15. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა

1. სასწავლო კომპონენტის საერთო საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სქემის ფარგლებში დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან (ხელმძღვანელებთან) შეთანხმებით თავად ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმას.
2. სწავლის დასაწყისში დოქტორანტი ადგენს ინდივიდუალურ ***კვლევით*** გეგმას, რომელშიც მოცემულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა და კვლევის სავარაუდო გრაფიკი. შევსებულ სპეციალურ ფორმას (**ფორმა 2**) იგი წარუდგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს.
3. ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესაბამისად, ***სასწავლო*** კომპონენტის დასრულების შემდეგ დოქტორანტი შევსებულ სპეციალურ ფორმას (**ფორმა 1**) და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას წარუდგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს, რომელიც ოფიციალურად ადასტურებს დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტის შესრულებას.
4. წარსადგენი ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის ძირითადი პუნქტები (კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების სავარაუდო გრაფიკი) განიხილება სპეციალიზებული სექციის სხდომაზე და ჩარიცხვიდან **ერთი თვის განმავლობაში** დასამტკიცებლად წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.
5. სადოქტორო თემის დაზუსტებული სათაური წარმოდგენილ უნდა იქნეს დოქ-ტორანტურაში სწავლის ოთხი სემესტრის დასრულებამდე.
6. სადოქტორო თემის შეცვლა დასაშვებია ოთხი სემესტრის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობით, სადისერტაციო საბჭოს სპეციალიზებული სექცია განიხილავს სადოქტორო თემის შეცვლის საკითხს, მასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში ცვლილებების საჭიროებას და ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას, რომელიც აისახება სხდომის ოქმში. ოქმი წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.
7. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმები ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში.

თავი 4. თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 16. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დაკომპლექტება და საქმიანობა

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო (ტექსტში შემდგომ "სადისერტაციო საბჭო") შედგება ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან;

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს დოქტორის ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორიც, მის მიერ წევრობაზე განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში.
2. სადისერტაციო საბჭო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებისა და თსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. ფაკულტეტის საბჭო შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს თსუ-ს აკადემიურ საბჭოს.
3. სადისერტაციო საბჭო შედგება სპეციალიზებული სექციებისაგან, რომელშიც ერთიანდებიან საბჭოს წევრი შესაბამისი დარგის სპეციალისტები.
4. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სადისერტაციო საბჭოს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის 30%-ზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების, სულ მცირე 2/3, გარდა მე-5 პუნქტში აღნიშნული შემთხვევისა. გადაწყვეტილებები მიიღება ღია ან, საჭიროების შემთხვევაში, ფარული კენჭისყრით.
5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს 2 წლის ვადით.
6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის კანდიდატურებს წარადგენს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო დამსწრეთა ხმათა უბრალო უმრავლესობით 2 წლის ვადით.
7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.
8. საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
9. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მოიწვიოს საბჭოს სხდომები. სადისერტაციო საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/5-ის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია, მოიწვიოს საბჭოს რიგგარეშე სხდომა.
10. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, საბჭოს საქმიანობას წარმართავს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
11. სადისერტაციო საბჭოს ადმინისტრირებაში მონაწილეობს სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

მუხლი 17. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

1. სადისერტაციო საბჭო:

ა. ირჩევს და ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარეს;
ბ. ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს;
გ. ადგენს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა სფეროსთვის ადეკვატური სამეცნიერო პერიოდიკის აკადემიური დონის შესაფასებელ კრიტერიუმებს;
დ. ადგენს საჯარო დაცვის პროცესის შესაბამის ეთიკურ ნორმებს;
ე. განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის ზღვრულ მოცულობას, სავარაუდო

ფორმატს და სხვა ტექნიკურ მონაცემებს, ადგენს დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებს;
ვ. ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის თემას;
ზ. ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე;
თ. ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს (რეცენზენტებს);
ი. ამტკიცებს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას;
კ. ამტკიცებს დაცვის თარიღს;
ლ. ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

2. *სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის უფლებამოსილება*

2.1. *სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:*

ა. უზრუნველყოფს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებას ფა-კულტეტის დებულების საფუძველზე, პასუხისმგებელია სადისერტაციო საბჭოს საქმიანობაზე.
ბ. უზრუნველყოფს საბჭოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ნორმატული და სამოქმედო დოკუმენტების შემუშავებას, დაზუსტებასა და სრულყოფას;
გ. ახორციელებს კოორდინაციას უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;
დ. ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოში საქმის წარმოებას;
ე. იწვევს და უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს;
ვ. პასუხისმგებელია დისერტაციის დაცვის პროცედურების ორგანიზებასა და მისი შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე;
ზ. სადისერტაციო საბჭოს სასწავლო წლის ბოლოს წარუდგენს შესრულებული საქმიანობის ანგარიშს;
თ. უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

2.2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

ა. მონაწილეობს საბჭოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ნორმატიული და სამოქმედო დოკუმენტების შემუშავებაში, დაზუსტებასა და სრულყოფაში;
ბ. უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის დროულ და შეუფერხებელ წარმოებას უნივერსიტეტში საქმის წარმოების ერთიანი წესების შესაბამისად;
გ. პასუხისმგებელია სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციის წარმოებაზე;
დ. ამოწმებს დისერტანტის მიერ წარდგენილი სამეცნიერო გამოცემების შესაბამისობას სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
ე. ხელმძღვანელობს საბჭოს არქივის წარმოებას;

ვ. ეხმარება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
ზ. წარმართავს საბჭოს საქმიანობას თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში და უძღვება საბჭოს სხდომებს.

2.3. სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

ა. ტექნიკურად უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოებას, მიღებას, საარქივოდ მომზადებასა და შენახვას;
ბ. კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში.

მუხლი 18. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სპეციალიზებული სექციები

1. თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში ფუნქციონირებს სპეციალიზებული სექციები, რომლებშიც ერთიანდებიან საბჭოს წევრი შესაბამისი დარგის სპეციალისტები, აგრეთვე, სადოქტორო პროგრამისა და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელები.
2. სპეციალიზებული სექცია იქმნება ორი წლის ვადით ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ფარგლებში და შედგება მუდმივმოქმედი, სულ მცირე, სამი პროფესორისგან (სადოქტორო პროგრამისა და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელების ჩათვლით). საჭიროების შემთხვევაში მისი შემადგენლობა ფართოვდება.
3. სპეციალიზებული სექციის წევრები თავისი შემადგენლობიდან ორი წლის ვადით ირჩევენ თავმჯდომარესა და მდივანს. სადისერტაციო საბჭოს სპეციალიზებული სექციის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სექციის თავმჯდომარე და მდივანი.
4. სადისერტაციო საბჭოს სპეციალიზებული სექცია გადაწყვეტილებას იღებს წევრთა კონსენსუსის საფუძველზე.

მუხლი 19. სადისერტაციო საბჭოს სპეციალიზებული სექციის უფლებამოსილებანი:

1. სპეციალიზებული სექცია, მისი კომპეტენციის ფარგლებში არსებული საკითხების განსახილველად, სემესტრში იკრიბება ორჯერ (საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მეტი სხდომაც ჩატარდეს);
2. განიხილავს დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას;
3. განიხილავს სადისერტაციოდ წარდგენილი თემების აქტუალობას, მონაწილეობს თემის სათაურის დაზუსტების პროცესში და დასამტკიცებლად შუამდგომლობს სადისერტაციო საბჭოს წინაშე;
4. შეიმუშავებს დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის (პრეზენტაციების) შესაფასებელ კრიტერიუმებს;
5. კვლევითი კომპონენტის საფაკულტეტო სქემის შესაბამისად აფასებს და უწევს ექსპერტიზას დოქტორანტის მიერ შესრულებულ საქმიანობას;

6. განიხილავს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილ სამეცნიერო ხელმძღვანელობის კანდიდატს, აგრეთვე სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხებს და დასამტკიცებლად განაცხადით შუამდგომლობს სადისერტაციო საბჭოს წინაშე;
7. კონკრეტული დისერტაციის დასრულების შემთხვევაში სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელსა და თემის ხელმძღვანელთან ერთად განიხილავს:
ა. სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების (რეცენზენტების) კანდიდატურებს; ადგენს დარგის უცხოელი შემფასებლების სავარაუდო სიას და გადასცემს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების განყოფილებას;
ბ. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას - ძირითად და სათადარიგო კანდიდატურებს;
გ. საბჭოში დისერტაციის დოკუმენტაციის მიღებიდან ორი კვირის ფარგლებში სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს ოქმს, რომელშიც ასახულია: ნაშრომის შემფასებლების კანდიდატურები; სადისერტაციო კომისიის ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობა; შუამდგომლობა სადისერტაციო საბჭოს წინაშე მათი დამტკიცების შესახებ.

თავი 5. დისერტაციის წარდგენა და დაცვა

მუხლი 20. დისერტაცია

1. დისერტაცია წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შექმნილ სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც საფუძვლად უდევს მოპოვებული ახალი ცოდნა. დისერტაციის მიზანია წვლილი შეიტანოს შესაბამისი სამეცნიერო დარგის განვითარებაში.
2. დისერტაცია სრულდება ქართულ ენაზე.
3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სადისერტაციო საბჭოს ნებართვით დასაშვებია დისერტაციის უცხო ენაზე შესრულება და დაცვა. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე (40-50 გვერდი, ფორმატი A4).
4. სადისერტაციო ნაშრომის ზომას, ფორმატსა და სტილს განსაზღვრავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობაა 120-დან 200 გვერდამდე. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია დანართი (ინდექსი, ტექსტები და ა.შ.). ფურცლის ზომა A4, შრიფტის სახეობა Sylfaen, შრიფტის ზომა – 12. სტრიქონებს შორის მანძილი 1,5; გვერდის საზღვრები მარცხნიდან 3 სმ, ზემოდან და ქვემოდან 2.5 სმ, მარჯვნიდან 1,5 სმ. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი (ციტირება და ლიტერატურის მითითება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პუბლიკაციების სტილით ან APA სტილით).

მუხლი 21. დისერტაციის წარდგენა

1. სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის აუცილებელი წინაპირობაა კვლევითი კომპონენტის (კოლოკვიუმების) თაობაზე შესაბამისი სპეციალიზებული სექციის ექსპერტული დასკვნები.

2. დისერტაციის წარდგენასთან დაკავშირებულ დამატებით მოთხოვნებს ადგენს სპეციალიზებული სექცია მინიმალურ სტანდარტში ასახული დოქტორანტურის ინტერნაციონალიზაციის პრინციპების შესაბამისად.
3. დისერტაციის საერთაშორისო რეცენზირების უზრუნველყოფა ევალება სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. თსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად პუბლიკაციის საერთაშორისო რეცენზირება ხდება იმავე წესით.
4. სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს დოქტორანტი გადასცემს ქართულ ენაზე დისერტაციის 4, ხოლო უცხო ენაზე – 1 ეგზემპლარს აკინძული სახით, აგრეთვე, მათ ელექტრონულ ვერსიებს სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სტანდარტების დაცვით (იხ. მუხლი 20, პუნქტი 4). უცხოენოვანი ვერსიის მოცულობის ფარგლებია 30-45 გვერდი.
5. სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი წარუდგენს წერილობით დასკვნას იმის თაობაზე, რომ სადისერტაციო ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.
6. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დოქტორანტის განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე.
- სპეციალიზებული სექციის სხდომის ოქმი კონკრეტული დისერტაციის დასრულების თაობაზე.
- სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული 40-60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვებისა და სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები.
- პუბლიკაციების არსებობის შემთხვევაში მათი ამონაბეჭდი შემდეგი ფორმით: ჟურნალის თავფურცელი, სარჩევი, სტატია.
- იმ შემთხვევაში, როცა წარმოდგენილი პუბლიკაციის სამეცნიერო ღირებულება საკამათოა (მაგალითად, საკონფერენციო მოხსენების გამოქვეყნებული ტექსტი, აგრეთვე კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებული პუბლიკაცია გარკვეულ ეჭვს იწვევს), ეს პუბლიკაცია ექვემდებარება დამატებით ექსპერტიზას, რომელსაც ასრულებს სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილი ორი ექსპერტი, რომელთაგან ერთი მაინც მოწვეული პროფესორია. ექსპერტიზის მთავარი მოთხოვნებია ექსპერტთა ანონიმურობა და ურთიერთდამოუკიდებლობა.

7. საბჭოში დისერტაციის დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ, ორი კვირის ვადაში, სპეციალიზებული სექცია ვალდებულია წარადგინოს ოქმი, რომლითაც შუამდგომლობს სადისერტაციო საბჭოს წინაშე, დაამტკიცოს:

- ნაშრომის შემფასებლების კანდიდატურები;
- სადისერტაციო კომისიის სავარაუდო შემადგენლობა, აგრეთვე, სათადარიგო წევრთა კანდიდატურები;
- საჭიროების შემთხვევაში დაცვის სხვა ენაზე წარმართვა.

8. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის საფასურის გადახდისგან სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის

მომენტიდან.
9. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შეუძლია შემოიღოს დისერტაციის წარდგენისა და დაცვის პროცედურასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 22. დისერტაციის შემფასებლები

1. დისერტაციის შემფასებელი შეიძლება იყოს:
ა. დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიმე სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენელი;
ბ. დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი, უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის მეცნიერ–თანამშრომელი.
2. დოქტორანტის დისერტაციის შემოკლებული ვერსიის/სტატიის რეცენზირება შეიძლება მოახდინოს აგრეთვე:
ა) თსუ-ში მოწვეული პროფესორის (visiting professor) სტატუსით მყოფმა პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში;
ბ) თსუ-ში ამა თუ იმ სამეცნიერო სტიპენდიით, კვლევითი გრანტით მყოფმა უცხოელმა პროფესორმა და/ან მკვლევარმა მისი თანხმობის შემთხვევაში (მაგალითად, DAAD-ის, Fullbright-ის სტიპენდიანტები და სხვ.).
3. შემფასებლად (რეცენზენტად) ინიშნება პირი, რომლის სამეცნიერო საქმიანობა და სამეცნიერო შრომები შეესაბამება სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკას.
4. დისერტაციას აფასებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სამი შემფასებელი, მათგან ერთი უცხოელია.
5. ექსპერტების დასკვნისათვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება რეცენზირებაზე თანხმობის მიღების დღიდან **ორი თვის ვადით.**
6. სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცება ხდება განსაზღვრული წესით.
7. შემფასებელთა მიერ წარმოდგენილი რეცენზიები ბეჭდური და ელექტრონული ფორმით გადაეცემა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის დაბრუნების, ან/და დაცვაზე უარის თქმის შესახებ.
8. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამტკიცების შემდეგ სადისერტაციო კომისიის ყველა წევრს გადაეცემა სადისერტაციო ნაშრომი და ექსპერტთა შეფასებები.
9. სადისერტაციო საბჭო ვალდებულია დოქტორანტს გადასცეს შემფასებლების დასკვნების ასლები.
10. ტექნიკური (არააკადემიური სტანდარტების დარღვევა) ხასიათის შენიშვნების შემთხვევაში დისერტაცია დაცვაზე დაიშვება ამ შენიშვნების აღმოფხვრის დათქმით.

11. თუ შემფასებლების ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება. ასეთ შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს 6 თვის განმავლობაში ეძლევა დისერტაციაზე დამატებით მუშაობის უფლება.

მუხლი 23. სადისერტაციო კომისია

1. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას, სათადარიგო წევრების ჩათვლით, სადოქ-ტორო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით, განიხილავს და სადისერტაციო საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად შუამდგომლობს სპეციალიზებული სექცია.
2. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს შემფასებელთა მიერ დისერტაციაზე რეცენზიების წარდგენის შემდეგ, დისერტაციის დაცვამდე არა უგვიანეს 30 დღისა.
3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია სათადარიგო კანდიდატურით ჩაანაცვლოს კომისიის წევრი, რომელსაც საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია დისერტაციის დაცვაზე დასწრება.
4. სადისერტაციო კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე ხუთი წარმომადგენლისაგან. სადისერტაციო კომისიის წევრთა ნახევარს მაინც შეადგენენ სადისერტაციო საბჭოს წევრები. სადისერტაციო კომისიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები, რომლებიც არ არიან ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრები.
5. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა ხმათა უბრალო უმრავლესობით.
6. კომისიის თავმჯდომარე და მდივანი არ შეიძლება იყოს მოცემული დისერტაციის ხელმძღვანელი ან შემფასებელი.
7. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, თუკი ის არ არის დასაცავად წარდგენილი დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი, შეიძლება იყოს სადისერტაციო კომისიის წევრი, მაგრამ ვერ იქნება სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე.
8. დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი და თემის შემფასებლები არ არიან სადისერტაციო კომისიის წევრები, მათ შეუძლიათ მონაწილეობა სათათბირო ხმის უფლებით.
9. სადისერტაციო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან იცნობდნენ სადისერტაციო ნაშრომს, ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ დისერტაციის შეფასებებსა და დისერტაციაზე შემოსულ გამოხმაურებებს.
10. თუ დამტკიცებული სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის რომელიმე წევრი გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო ვერ ახერხებს დისერტაციის დაცვაზე დასწრებას, იგი ვალდებულია ამის შესახებ წერილობითი განაცხადით აცნობოს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს დაცვამდე ერთი კვირით ადრე მაინც. ასეთ შემთხვევაში კომისიის ეს წევრი ჩანაცვლდება სარეზერვო წევრით.
11. დისერტაცია დაცულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა კომისიის წევრთა ნახევარზე მეტმა. ნაშრომის დაცვის ხარისხი დგინდება კომისიის წევრთა კონსენსუსის საფუძველზე.
12. კომისიის გადაწყვეტილება აისახება საბოლოო დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერს

კომისიის ყველა წევრი კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის აღნიშვნით.

მუხლი 24. საჯარო დაცვის მომზადება და დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა ინიშნება სადისერტაციო კომისიის დამტკიცებიდან 30-40 დღის ვადაში.
2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს ელექტრონული საშუალებებით უნდა აცნობოს საბჭოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების და შემფასებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დაცვის თარიღი. შემფასებლების რეცენზიები დისერტანტს მიეწოდება მათი წარმოდგენისთანავე 1 კვირის ვადაში.
3. დისერტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში. დოქტორანტს უფლება აქვს გაეცნოს მის დისერტაციასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
4. სადისერტაციო კომისიის სხდომას წარმართავს სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე. იგი პასუხისმგებელია კომისიის გადაწყვეტილების ამსახველ საბოლოო დასკვნაზე.
6. სადისერტაციო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურებს, აგრეთვე დაცვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სადისერტაციო საბჭოს სამდივნოსთვის გადაცემას.
7. დაცვის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს გადაეცემა დისერტაციის შეფასებები და პირადი საქმე, დაცვის ამსახველი დოკუმენტაცია (წერილობითი სახით დისერტანტის პრეზენტაციისა და რეცენზენტთა შენიშვნებზე მისი პასუხების ტექსტები, სადისერტაციო კომისიის საბოლოო დასკვნა, გამოყენებული ბიულეტენები), აგრეთვე დისერტაციის მსვლელობის აუდიოჩანაწერი.
8. დისერტაციის დაცვის რეგლამენტი განსაზღვრულია სადისერტაციო საბჭოს მიერ და მოიცავს:
ა. დოქტორანტისა და მისი დოკუმენტაციის წარდგენას სადისერტაციო კომისიის წინაშე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, ან შესაბამისი სპეციალიზებული სექციის წარმომადგენლის მიერ;
ბ. დოქტორანტის მოხსენებას (არა უმეტეს 20 წუთი);
გ. კომისიის წევრების შეკითხვებს მოხსენების გარშემო;
დ. რეცენზიების საჯარო წაკითხვას;
ე. დოქტორანტის მიერ რეცენზიებში წარმოდგენილ შეკითხვებზე საჯარო პასუხის გაცემას;
ვ. სამეცნიერო დისკუსიას;
ზ. კომისიის დახურულ სხდომას სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად და დასკვნის გაფორმებას კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით;
თ. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადებას;
ი. დისერტანტის საბოლოო სიტყვას.

9. დაცვის ენა არის ქართული; სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დაცვის სხვა ენაზე წარმართვის გადაწყვეტილება.
10. სადისერტაციო კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დი-

სერტაციის დაცვა.
11. სადისერტაციო კომისიის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დოქტორანტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის თაობაზე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს შედეგის გამოცხადებიდან 1 თვის განმავლობაში.
12. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შესწორებული ვერსიის საბოლოო წარდგენის ვადა განისაზღვრება 12-18 თვით დოქტორანტის დისერტაციაზე დამატებით მუშაობის უფლების მინიჭებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი დაცვაზე აღარ დაიშვება.

მუხლი 25. დისერტაციის შეფასება

1. დისერტაციის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება: საკვლევი თემის აქტუალობა და სიახლე; კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე; კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა; მეცნიერების მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი.
2. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
3. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.
ამ მუხლის ”ა”-”ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
ამ მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი წლის შემდეგ წარდგენის უფლება.
ამ მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

მუხლი 26. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

შესაბამის დარგში დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 27. დისერტაციის გამოქვეყნება

1. დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ 2 თვის ვადაში გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით.
2. დისერტაციის ერთი ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას. დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გამომცემლობის ვებგვერდზე და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.

მუხლი 28. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. დისერტაციის დაცვის და გამოქვეყნების შემდეგ დოქტორანტს გადაეცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი შესაბამის დარგში.
2. დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი და ფაკულტეტის დეკანი.

მუხლი 29. ბათილობა

1. სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენისა და აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში (სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება, პლაგიატი, სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების გამოყენება) დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი არ გაიცემა ან ჩამოერთმევა. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

თავი 6. გარდამავალი დებულებები

მუხლი 30. გარდამავალი პერიოდის (ინდივიდუალურ) სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული დოქტორანტები

1. თსუ–ს ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომლებსაც 1999-2006 წლებში ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის ყველა გამოცდა, 2007-2010 წლებში ჩაირიცხნენ ე.წ. ინდივიდუალურ (გარდამავალი პერიოდის) სადოქტორო პროგრამებზე.
2. გარდამავალი პერიოდის ინდივიდულურ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც საკანდიდატო მინიმუმის საგნები აქვთ ჩაბარებული ან/და დისერტაციის აპრობაცია აქვთ გავლილი, თავისუფლდებიან ამ დებულებით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების დაგროვებისგან. მათ მიერ დისერტაციის წარდგენა და დაცვა ხორციელდება ამ

დებულებით დადგენილი წესით. დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხმაურების არსებობა.
3. თსუ-ს ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც შესრულებული აქვთ ამ დებულებით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი და არა აქვთ ჩაბარებული საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარადგენენ და დაიცავენ ამ დებულებით დადგენილი წესით.
4. ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვიდან *ექვსი სემესტრის* გასვლის შემდეგ დოქტორანტის მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა, რომელშიც უნდა დასაბუთდეს კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა. ხელმძღვანელი შუამდგომლობას წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.

მუხლი 31. თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 17 დეკემბრის №128/2012 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადებული სადოქტორო პროგრამები

1. თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 17 დეკემბრის №128/2012 დაგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადებული სადოქტორო პროგრამების სტუდენტები გადაყვანილ იქნენ თავსებად აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამებზე და გადაყვანისას სასწავლო და კვლევითი კომპონენტის აღიარება მოხდეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარდგინების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი წესით, სტუდენტთა ინტერესის მაქსიმალური დაცვით.
2. აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამებზე გადაყვანილი დოქტორანტებისთვის კვლევითი კომპონენტის შემადგენელი 20-კრედიტიანი 2 კოლოკვიუმის შესრულება სავალდებულო ხდება 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან.

თავი 7. დასკვნითი დებულებები

1. დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს თსუ-ს აკადემიური საბჭო.
2. დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხორციელდება მე-7 თავის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.
3. წინამდებარე დებულებაში დამატებისა და ცვლილების შეტანის შესახებ წინადადების დასმის უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერ წევრს. დასაბუთებულ წინადადებას განიხილავს სადისერტაციო საბჭო უახლოეს სხდომაზე და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.
4. ეს დებულება ძალაში შედის თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.